ISSN 1512-1801

უაკ (УДК)

ეთნიკური სტერეოტიპები, განათლებაზე ხელმისაწვდომობა და კარიერული წინსვლა ეთნიკურად აზერბაიჯანელ ახალგაზრდებში

მაგდა რუხაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ბ 0179 თბილისი, საქართველო

ანოტაცია
კვლევის მიზანია დავადგინოთ თუ რა კავშირშია ეთნიკური სტერეოტიპები განათლების ხელმისაწვდომობასა და კარიერულ წინსვლაზე ეთნიკურად აზერბაიჯანელ ახალგაზრდებში. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 2 ფოკუს-ჯგუფი მარნეულსა და გარდაბანში, რომელშიც 20 ახალგაზრდა მონაწილეობდა. კვლევაში გამოყენებულია ექსპერტული ინტერვიუს მეთოდიც, რომლის ფარგლებში გამოიკითხა 5 ექსპერტი.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ განათლება ახალგაზრდებისთვის თვითრეალიზაციის, კარიერული წინსვლის, კეთილდღეობისა და პროგრესის მთავარი წყაროა. აზერბაიჯანელი ახალგაზრდები აწყდებიან ისეთ ინსტიტუციურ ბარიერებს როგორიცაა სასწავლო მასალების შეუსაბამობა, ქართული ენის მასწავლებლების ნაკლებობა და ქართული ენის არასაკმარისად ფლობა; ხოლო კარიერული წინსვლის შემთხვევაში - სიტუაციურ ბარიერებს, როგორიცაა სამუშაო ადგილების ნაკლებობა. *კვლევაში გამოიკვეთა სტერეოტიპების გავლენა პროფესიის არჩევისას, განათლების მიღების ანდა კარიერული წინსვლის პროცესში; სტერეოტიპების გავლენა ძირითადად ნეგატიურია, რაც განსაკუთრებით მდედრობით სქესის წარმომადგენლებზე აისახება. ისინი სტერეოტიპების გარდა "შუშის ჭერის" ეფექტსაც აწყდებიან, რაც ხელს უშლის მათ კარიერულ წინსვლას. ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ სტერეოტიპების დაძლევის მრავალმხრივი ინტერვენციების დანერგვაზე, მათ შორის მიზანშეწონილად მიიჩნევენ ახალგაზრდებისა და ზოგადად მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას სტერეოტიპების გავლენის შესახებ.*

საკვანძო სიტყვები: *აზერბაიჯანელი ახალგაზრდები, ეთნიკური სტერეოტიპები, კარიერული წინსვლა, განათლება, დაძლევის მექანიზმები.*

ISSN 1512-1801

1. **შესავალი**

სტერეოტიპები წარმოადგენს განზოგადებულ შეხედულებას, არარელევანტურ კონცეპტუალიზაციას პიროვნების თვისებების, ატრიბუტებისა და იმ სოციალური კატეგორიის შესახებ, რომელსაც იგი მიეკუთვნება (Fiske, 1998). იმის გათვალისწინებით, რომ სტერეოტიპები მთელი ჯგუფის შესახებ განზოგადებული წარმოდგენაა და შესაბამისად ის შეიძლება ვერ აღწერდეს ჯგუფის ყველა წევრს ზუსტად და სამართლიანად. კატეგორიის საფუძველზე შეფასების გამო, სტერეოტიპული დასკვნები ინდივიდების შესახებ ხშირად მცდარია და უსამართლოც, მათ შორის ეთნიკური სტერეოტიპების შემთხვევაშიც (Stangor, 1995).

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ეთნიკური სტერეოტიპის, როგორც სოციალური კონსტრუქტის ჩამოყალიბების მექანიზმზეც, რომლის მთავარ ასპექტს სოციალური კატეგორიზება წარმოადგენს; კერძოდ ინდივიდების დაყოფა და მათი შეფასება როგორც სოციალური ჯგუფის წარმომადგენლის (Kruger, 1997).

ეთნიკური სტერეოტიპების ჩამოყალიბებისას არა ნაკლებ მნიშვნელოვანია გარე ჯგუფური ჰომოგენურობის ეფექტი, რომლის მიხედვითაც ადამიანები მსგავსად, ჰომოგენურად აღიქვამენ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს ჯგუფს "არ მიეკუთვნებიან". ყურადღება უნდა გამახვილდეს ილუზორულ კორელაციაზეც, რომელიც ორ ნიშან-თვისებას ერთმანეთთან არასწორად აკავშირებს. ილუზორული კორელაციის შედეგად უმცირესობების ჯგუფის წევრები ზარალდებიან, რადგანაც მეტი დაკვირვების ქვეშ არიან და მცირედი უარყოფითი ქცევაც კი მათი ჯგუფის ნიშან-თვისებად განზოგადდება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მედიის როლიც, რადგანაც იგი ხელს უწყობს ილუზორული კორელაციების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას.

სტერეოტიპებს ძირითადად ვსწავლობთ სოციალიზაციის პროცესში, კერძოდ ოჯახში, სკოლაში, სასწავლებელში და ა.შ. მას შემდეგ, რაც ადამიანებს გარკვეული სოციალური ჯგუფების შესახებ გარკვეული სტერეოტიპული რწმენები უყალიბდებათ, მათ შეუძლიათ სხვებსაც გადასცენ ეს რწმენები სხვადასხვა გზით, მაგალითად, ეთნიკური ჯგუფის შესახებ ანეკდოტების მოყოლით ანდა ეთნიკური უმცირესობის შესახებ ტელეგადაცემაში მიკერძოებულად საუბრით. სტერეოტიპებს ხშირად ავრცელებენ მასწავლებლები სკოლებში და მშობლები ოჯახში, რაც ხშირად უნებლიეთ ხდება. მნიშვნელოვან როლს ასრულებს მედიაც.

მნიშვნელოვანია, რომ განათლება განვიხილოთ როგორც სოციალური აქტი, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ კაპიტალთან, კერძოდ ნორმებისა და ღირებულების ჩამოყალიბებასთან (Balatti & Falk, 2002), რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სტერეოტიპების შემცირებას (Malhotra, Pande & Grown, 2003). მსოფლიოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმები ხაზს უსვამს თანაბარ შესაძლებლობებს, თანასწორობასა და მულტიკულტურალიზმს, განსაკუთრებით ეთნიკური და რასობრივი უმცირესობებისათვის (Deer, 2005). მაგალითად, ინვესტიცია ეთნიკური უმცირესობების განათლებაში აისახება მათ კეთილდღეობაზე, ხოლო ქალთა განათლება გენდერული თანასწორობის კატალიზატორად ითვლება. თუმცა, მიუხედავად განსხვავებული დამხმარე პროგრამებისა, რომლებიც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობის წევრების ინტეგრაციას, ჯერ კიდევ არსებობს უთანასწორობა განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. მეტიც, ხშირ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობების მიღწევები ჩამორჩება უმრავლესობის მიღწევებს (Luciak, 2004).

წინამდებარე ნაშრომში ძირითადად შესწავლილია სხვა და სხვა ბარიერების, მათ შორის ეთნიკური სტერეოტიპების გავლენა ეთნიკურად აზერბაიჯანელი

ISSN 1512-1801

ახალგაზრდების განათლებასა და მათ კარიერულ წინსვლაზე; ასევე განხილულია ან ბარიერების დაძლევის გზები როგორც კვლევაში მონაწილე ახალაზრდების, ასევე ექსპერტების პერსპექტივიდან.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1 თეორიული ჩარჩო

სტერეოტიპებისა და პრეჯუდისების/ცრუ რწმენების შესახებ არსებულ დისკურსზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ძალაუფლების ხარისხის მნიშვნელობაზე, რომლის დროსაც მცირე ძალაუფლების მქონე სოციალური აგენტები, ამ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ცდილობენ დაუპირისპირდნენ კატეგორიებზე დაფუძნებულ მსჯელობას, თუმცა მეტი ძალაუფლების მქონე სოციალური აგენტები ანუ უმრავლესობა კი არ ცდილობს მათ ინდივიდუალობაზე გაამახვილოს ყურადღება, არამედ ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტად მიმართავენ მათ კოგნიციას სტერეოტიპულ მსჯელობაზე (Goodwin, Gubin, Fiske, & Yzerbyt, 2000).

TMT (შიშის მართვის თეორია) ეფუძნება ბეკერის (Becker, 1971) თეორიას, სადაც სოციალური მოქმედების გამომწვევი მექანიზმის შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერჯგუფური აგრესიის შესწავლას; შესაბამისად სოციალური აგენტები თავიანთ თვითშეფასებას უმეტესად შიდა ჯგუფური იდენტიფიკაციის პროცესს აფუძნებენ. ინტერნალიზებული კულტურული რწმენები მათ უზრუნველყოფს ფსიქოლოგიური სიმშვიდის/დაცულობის განცდით და იწყებენ ცხოვრებას გარკვეული ღირებულებების, როლებისა და მიზნების მიხედვით. თუმცა ჯგუფის გარე წევრები, ისინი, ვინც არ შეესაბამებიან არსებულ რეალობას, აღიქმებიან დევიანტებად და მათზე ხორციელდება ე.წ. "იარლიყების მიწებება", ყალიბდება ცრუ რწმენები და ეს წარმოდგენები განზოგადებას ექვემდებარება, რასაც მივყავართ როლურ შთანთქმამდე.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ ბარიერების მნიშვნელობაზე. როგორც უკვე აღინიშნა, სტერეოტიპები და განსაკუთრებით ეთნიკური სტერეოტიპები, ხელს უწყობს ბარიერების შექმნას სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის განათლებისა და კარიერული განვითარების კუთხით.

ქროსის მოდელის მიხედვით (Cross, 1992), გამოიყოფა 3 სახის ბარიერი:

• სიტუაციური - ფინანსების, დროის ნაკლებობა, სამუშაოსთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები, ოჯახზე ზრუნვა და ა.შ.

• დისპოზიციური/მოტივაციური ბარიერები - უკავშირდება დამოკიდებულებებს, მოტივაციებს, წარსულის გამოცდილებასა და საზოგადოების აღქმას. დაბალი თვითშეფასება და ცუდი აკადემიური მოსწრება ასევე დისპოზიციური ბარიერებია.

• ინსტიტუციური ბარიერები უკავშირდება პროგრამებს ან ინსტიტუციებს, სადაც პრობლემებია დაგეგმვის, ადგილმდებარეობის, შესაბამისი კურსების ნაკლებობის, არასათანადო მასალების, პროგრამებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის კუთხით. სახელმწიფო ენის არასათანადოდ ფლობა და განათლების დონე ასევე შედის ინსტიტუციურ ბარიერებში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტერმინი ე.წ. „შუშის ჭერი" მიუთითებს იმას, რომ უმცირესობისა და ქალებისთვის დაწინაურება თეორიულად შესაძლებელია, თუმცა

ISSN 1512-1801

პრაქტიკულად ეს ძალიან რთულია. ისინი კარიერული განვითარების გზაზე ხვდებიან ბარიერებს და ნაკლებ წარმატებას აღწევენ, თუმცა ეს ტენდენცია ნელ-ნელა მცირდება და ქალების სულ უფრო მეტი რაოდენობა ხდება ლიდერი.

მიუხედავად ამ ცვლილებისა, უმცირესობები ან ქალები, ვინც გაარღვევენ ამ „შუშის ჭერს“ ხვდებიან უამრავ სირთულეს; ეს მათგან დიდ რესურსებსა და ძალისხმევას მოითხოვს. ხელქვეითებისაგან ისინი ნაკლებ დადებით შეფასებებს იღებენ, ვიდრე მამაკაცები ერთნაირი შესრულების შემთხვევაშიც. მასკულინური და ტრადიციული საზოგადოებისგან ქალი ლიდერები იღებენ მტრობასა და უარყოფას (Johns, 2013).

რაც შეეხება სტერეოტიპების შემცირების მოდელებს, მნიშვნელოვანია ბიძგი მიეცეს დეკატეგორიზაციის პროცესს, შესუსტდეს ბარიერები და ინტეგრაცია ინტერპერსონალური გახდეს (“მე” და “შენ”, ნაცვლად “ჩვენ” და “ისინი”) (Tajfel & Turner, 1979). დეკატეგორიზაციის პროცესი ვერ განხორციელდება, თუ ინტერაქციასთან ერთად ინტერპერსონალური ინტერაქციის მეშვეობით არ მოხდება ინდივიდუალური მახასიათებლების გაცვლა. ამ დროს ხდება კატეგორიაზე დაფუძნებული სტერეოტიპული მსჯელობების გადაფასება, კოგნიტური რეპრეზენტაციების შეცვლა, დადებით ატიტუდების ჩამოყალიბება და გენერალიზება (Miller et al,. 1985).

მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს რეკატეგორიზაციის პროცესსაც, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ჯგუფები საკუთარ თავს სხვა, უფრო მასშტაბური ჯგუფის წევრებად აღიქვამენ. კვლევები იმასაც ცხადყოფს, რომ ეთნიკურ ჯგუფებს შორის კატეგორიზაცია შეიძლება შემცირდეს იმაზე ხაზგასმით, რომ ყველანი ერთი კაცობრიობისა და ადამიანური იდენტობის ნაწილი არიან (Gaertner & Dovidio, 2000).

პედიგრიუს მიხედვით (Pettigrew, 1998), ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში განხორციელებული ინტერვენციები ხელს უწყობს სტერეოტიპების დაძლევას. მაგ. მწვანე წრის ინტერვენციის პროგრამა, რომელიც საერთო შიდაჯგუფური იდენტობის თეორიულ მოდელს მიესადაგება, ორიენტირებულია სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლების ურთიერთზრუნვაზე, ურთიერთგაზიარებასა და პატივისცემაზე. ამ პროგრამის განმახორციელებელთან თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელი გახდა შიდა ჯგუფური იდენტობის მოდელის პრინციპების შემოწმება და ასევე ამ პროგრამის ეფექტურობის შემოწმებაც. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მწვანე წრის საინტერვენციო პროგრამაში მონაწილეები სხვა ბავშვების მიმართ მაინც მეტად ინკლუზიური დამოკიდებულებებით გამოირჩეოდნენ. საკონტროლო პირობაში მყოფი ბავშვებისაგან განსხვავებით, მწვანე წრის აქტივობებში ჩართულები, მნიშვნელოვნად მეტად გამოხატავდნენ სურვილს იმისას, რომ ეთამაშათ მათგან განსხვავებული რასის, სქესისა თუ წონის ბავშვებთან.

2.2.საქართველოს კონტექსტი

საქართველოს მოსახლეობის უკანასკნელი საყოველთაო აღწერის მიხედვით, დაახლოებით 16% ეთნიკური უმცირესობაა, რომელთაგან აზერბაიჯანელები 6.3%-ს შეადგენენ (Georgian Census, 2014). მნიშვნელოვანია ეროვნული კონცეფცია ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით, რომლებიც 2009-2014 წლებში შეიქმნა. კონცეფციაში ყურადღება გამახვილებულია ინტერვენციაზე განათლებასთან

ISSN 1512-1801

დაკავშირებულ ისეთ სფეროებზე როგორებიცაა, უკეთესი წვდომა სკოლამდელ განათლებაზე, სახელმწიფო ენის უკეთესი ცოდნა და ა.შ.

2009 წლიდან აზერბაიჯანულსა და სომხურ ენებზე შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება, რაც ეთნიკური უმცირესობების უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას უწყობს ხელს. სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა პირველ რიგში, ჩაებარებინათ 3 სავალდებულო გამოცდა: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, ფრანგული, რუსული ან გერმანული) და ზოგადი უნარების გამოცდა (ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ, ოსურ ან ინგლისურ ენებზე) და არჩევითი საგანი პროგრამის მიხედვით. სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებლები ეროვნული გამოცდის ჩაბარების 2009 წლიდან 2014 წლამდე აჩვენებდა პოზიტიურ ტენდენციას,. 2009-2014 წლებში ეროვნულ გამოცდებში ჩარიცხული აზერბაიჯანელი და სომეხი აბიტურიენტების რაოდენობამ პოზიტიური ტენდენცია აჩვენა თუმცა, 2014 წელს აზერბაიჯანელი განმცხადებლებისთვის ეს მაჩვენებელი 2012 წელთან შედარებით 9%-ით შემცირდა.

რაც შეეხება პროგრამას “1+4”, რომელიც 2010 წელს დაინერგა, უფრო მეტად ზრდის ეთნიკურ უმცირესობების ხელმისაწვდომობას განათლების მიღებაზე. აპლიკანტებს შეუძლიათ დაესწრონ 60 ECTS კურსს (ერთწლიანი)ქართულ ენაზე შესაბამის უნივერსიტეტში. ამ კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მათ შეუძლიათ სწავლის გაგრძელება ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამაში. სტატისტიკაზე დაყრდნობით, 2010 წლიდან 1+4 პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და 2010 წელს თუ ეს მაჩვენებელი 247 იყო, 2018 წელს 1231 შეადგინა (განათლების განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018).

2015 წელს ძალაში შევიდა ახალი პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ეთნიკურ უმცირესობებს პროფესიული განათლების გამოცდები მშობლიურ ენაზე ჩააბარონ. მშობლიური ენის გამოცდის ჩაბარების შემდეგ ისინი იღებენ პროფესიული განათლების სტუდენტის სტატუსს და შეუძლიათ გაიარონ ქართული ენის ორწლიანი მომზადების პროგრამა.

3. **კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევის მიზანია დავადგინოთ თუ რა გავლენას ახდენს ეთნიკური სტერეოტიპები განათლების ხელმისაწვდომობასა და კარიერულ განვითარებაზე ეთნიკურად აზერბაიჯანელ ახალგაზრდებში

კვლევის ამოცანები:

- მოვახდინოთ კონკრეტული ბარიერებისა და მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება
- გამოვავლინოთ სქესთაშორისი განსხვავებები
- დავადგინოთ ახალგაზრდების ატიტუდები განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და კარიერული წინსვლის კუთხით (მათი მოლოდინები და მიზნები)
- კვლევის საფუძველზე ჩამოვაყალიბოთ ბარიერების დაძლევის გზები

ISSN 1512-1801

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ტრიანგულაციის მიდგომა, სხვადასხვა სოციალური კვლევის მეთოდები, საკაბინეტო კვლევა, ფოკუს-ჯგუფი და ექსპერტული ინტერვიუ.

საკაბინეტო კვლევის ფარგლებში გაანალიზდა არსებული კვლევები, დამუშავდა საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა.

თვისებრივი კვლევის, კერძოდ პირისპირ ფოკუს-ჯგუფების ფარგლებში კვლევის მონაწილეები ხელმისაწვდომი შერჩევის საფუძველზე შეირჩნენ; ჩატარდა 2 ფოკუს-ჯგუფი მარნეულსა და გარდაბანში, რომელშიც 20 ახალგაზრდა მონაწილეობდა სადახლოს, ალგეთისა და გარდაბნის ახალგაზრდული ცენტრიდან. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა 17-24 წლის ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ხოლო გენდერული განაწილება მაქსიმალურად დაბალანსდა.

ფოკუს-ჯგუფის გარდა კვლევაში გამოყენებულია ექსპერტული ინტერვიუს მეთოდი, კერძოდ კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 5 ექსპერტი (ფსიქოლოგიისა და განათლების ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები). კვლევა ჩატარდა 2021 წლის 7 ივნისი-6 სექტემბრის პერიოდში სპეციალური შედგენილი კვლევის ინსტრუმენტების სადისკუსიო გეგმისა და გაიდლაინის გამოყენებით. კვლევის ინსტრუმენტები მომზადდა როგორც ქართულ, ასევე აზერბაიჯანულ ენებზე.

4. კვლევის ძირითადი მიგნებები

4.1. ფოკუს-ჯგუფები

კვლევის შედეგების თანახმად არც ერთ რესპონდენტს არ მიუტოვებია განათლება, უმეტესობას მიღებული აქვს საშუალო განათლება (60%), ხოლო 40% უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ან კურსდამთავრებულია. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებს განათლების მიმართ დადებითი დამოკიდებულება აქვთ; ისინი განათლებას მოიაზრებენ როგორც პროგრესის, თავისუფლების, მიზნის მიღწევისა და ნათელი მომავლის მთავარ წინაპირობას “ ჩემი აზრით განათლება ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უფრო მეტად განვითარებულნი ვიყოთ, მოვიპოვოთ მეტი თავისუფლება ცხოვრებაში”(17 წლის, გოგონა).

რესპონდენტებისთვის განათლების მიღება პრიორიტეტულია, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდებს იყვნენ უფრო მეტად დამოუკიდებელნი “განათლება ერთ-ერთი გზაა, რომ დამოუკიდებლად ვიცხოვროთ, რადგან მე როგორც გოგოს, არ მინდა მომავალში ვიღაცაზე ვიყო დამოკიდებული” (17 წლის, გოგონა). ამასთან განათლებას მიიჩნევენ კარიერულის წინსვლისა და თემში კეთილდღეობის შექმნის მთავარ ინსტრუმენტად “ განათლება ხელს უწყობს კარიერის შექმნას, თემში წვლილის შეტანასა და უკეთესობისკენ შეცვლას” (22 წლის, ბიჭი).

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდებს არ შეუწყვეტავთ განათლების მიღება, მათ გაგვიზიარეს თავიანთ დამოკიდებულება სკოლასა და უნივერსიტეტში სწავლის, ასევე იმ ბარიერების მიმართ, რომლებსაც აწყდებოდნენ სწავლის პერიოდში. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდები ორივე საფეხურზე ძირითადად ინსტიტუციურ ბარიერებს აწყდებიან, ისინი ვერ ახერხებენ ახალი უნარების შეძენას, რადგანაც უნივერსიტეტში უმეტესად ყურადღება მახვილდება თეორიულ მასალაზე და არა პრაქტიკულ ნაწილზე, შესაბამისად ამ ცოდნის რეალობაში გამოყენება ახალგაზრდებს საკმაოდ უჭირთ; თუმცა ისინი დადებით მხარეზეც მიუთითებენ. კერძოდ, სტუდენტებისთვის შექმნილია თავისუფალი გარემო, შესაბამისად

ISSN 1512-1801

ლექტორებსაც და მოდულებსაც თავად ირჩევენ, სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სასურველ არაფორმალურ აქტივობებში. რაც შეეხება სკოლას, მათ თემში ახალი კადრების ნაკლებობა შეიმჩნევა, რის გამოც სიახლეებსა და ინოვაციებზე არ აქვთ ხელმისაწვდომობა. მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ სახელმწიფო ენის ფლობაზეც, რაც ასევე ინსტიტუციურ ბარიერს წარმოადგენს. კერძოდ, ქართულის მასწავლებლების არასათანადო რაოდენობაა და გაკვეთილების უმეტესი ნაწილი აზერბაიჯანულ ენაზე წარიმართება“სადახლო ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეთნიკურად აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფელია, სადაც 1000-ზე მეტ ბავშვზე მხოლოდ 2 ქართულის ენის მასწავლებელია გათვალისწინებული და ისინიც წარმოშობით აზერბაიჯანელები არიან” (19 წლის, გოგო).

ახალგაზრდებს აქვთ სამომავლო გეგმები კერძოდ, პირველ რიგში აპირებენ ქართული ენის სწავლასა და უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას, რესპონდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ უნდათ გამოვიდნენ პროფესიონალი პედაგოგები და აამაღლონ განათლების დონე თემში. “მე ახლა აბიტურიენტი ვარ, მინდა უნივერსიტეტში ჩავაბარო, ქართული ენა კარგად ვიცოდე და ვასწავლო სკოლაში” (21 წლის, გოგო).

ისინი ასევე გეგმავენ კარიერის შექმნასა და საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებას. ერთ-ერთი რესპონდენტი იმასაც აღნიშნავს, რომ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებამდე სურს დასაქმდეს, თუმცა ვაკანსიების უმეტესობა სულ მცირე მუშაობის 2 წლიან სტაჟს ითხოვს, რაც სტუდენტს ვერ ექნება. ამასთან, რესპონდენტების ნაწილი ფიქრობს, რომ უნივერსიტეტში მიიღეს ის ცოდნა რაც სამომავლოდ შესაძლოა არ გამოადგეთ, ამიტომ აღარ აპირებენ მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელებას და ცდილობენ, რომ უნარები გაიუმჯობესონ კარიერული კუთხით და ამ მხრივ მიიღონ გამოცდილება.

ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულნი არაფორმალურ აქტივობებში და თავად არიან ახალგაზრდული ცენტრების დამფუძნებლები და წარმომადგენლები, როგორც ახალგაზრდა მუშაკები, ცდილობენ თემში აამაღლონ ცნობიერება ისეთი საკითხების მიმართ როგორებიცაა: დემოკრატიზაცია, გარემოს დაცვა, ადამიანთა უფლებები და ა.შ. ამასთან, მათ მიზანს წარმოადგენს, რომ ხელი შეუწყონ ახალგაზრდების კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

რესპონდენტების აზრით, განათლების მიღება მნიშვნელოვანია კარიერული წინსვლისთვის, თუმცა ეს არ არის ერთადერთი წინაპირობა. მათი აზრით ამისთვის საჭიროა მოტივაცია და უნარების გაუმჯობესება, რის საფუძველსაც არაფორმალური აქტივობები იძლევა; ამასთან, რესპონდენტებისთვის პრიორიტეტულია კარიერული წინსვლა, თუმცა ამ პროცესში სიტუაციურ ბარიერებს აწყდებიან, კერძოდ სამუშაო ადგილების ნაკლებობას. მათივე თქმით სამუშაო ადგილები მხოლოდ მარნეულშია, რაც უმუშევრობის დონეს ზრდის. მათთვის მნიშვნელოვანია ანაზღაურება შეესაბამებოდეს თავიანთ კვალიფიკაციას, მაგრამ ამავდროულად დამოუკიდებლად გააკეთონ არჩევანი კარიერული კუთხით. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, სტერეოტიპული შეხედულების გამო, რომ მშობლებმა უნდა განსაზღვრონ შვილების პროფესია, თემში ახალგაზრდებს ხშირ შემთხვევაში მშობლები არ აძლევენ უფლებას თავად აირჩიონ პროფესია, რის გამოც თავს ანებებენ სწავლას ან განათლებას იღებენ იმ სფეროში, რაც მათ ინტერესებში არ შედის.

ახალგაზრდებს დასაქმების კუთხით არ აქვთ მკვეთრად განსაზღვრული მიზნები, თუმცა სურთ ჯერ შეიძინონ შესაბამისი კომპეტენციები, განივითარონ უნარები და შემდგომ ინფორმირებული გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღონ.

ISSN 1512-1801

რაც შეეხება ტერმინის "სტერეოტიპის" აღქმას, რესპონდენტების აზრით, სტერეოტიპი არის წინასწარი წარმოდგენა გენდერული, ეთნიკური თუ სხვა ნიშნით, რომელიც ვრცელდება მთელს თემზე და ძირითადად ნეგატიური ხასიათი აქვს. ახალგაზრდების თქმით, ისინი სტერეოტიპებს განსაკუთრებით სასწავლო სივრცეში აწყდებიან, უნივერსიტეტში ლექტორები სტუდენტების სეგრეგაციას ხშირად ახდენდნენ ეთნიკური ნიშნით და მათ სტერეოტიპებს მიაწერენ. ერთ-ერთ რესპონდენტის თქმით, ლექტორის შეფასებები მის თვითშეფასებაზე უარყოფითად აისახებოდა "ჩემთვის ფსიქოლოგიურად ძალიან ძნელია, როცა ლექტორი სტუდენტებს ერთმანეთისგან არჩევს, ლექტორი ამბობს ხოლმე, თუ უშეცდომოდ ილაპარაკებ ქულას მხოლოდ მაშინ დაგიწერ, ამის გამო სულ ვდარდობ სწორად თუ ვამბობ სიტყვას" (21 წლის, გოგო). რესპონდენტები იმასაც დასძენენ, რომ არა მარტო ლექტორებს, არამედ თანაკურსელებსაც აქვთ მოლოდინი, რომ ისინი ვერ ფლობენ ქართულს, ხოლო თავისუფლად ფლობის შემთხვევაში გაოცებასაც გამოხატავენ. სტერეოტიპული დამოკიდებულება ვლინდება მოქალაქეების მხრიდანაც: "ერთხელ მახსოვს, ბოლნისში მინდოდა ფართის ქირაობა, მეპატრონემ ჩემი წარმოშობის გამო უარი მითხრა, აზერბაიჯანელებზე არ ვაქირავებო." (22 წლის, ბიჭი). ასეთმა დამოკიდებულებამ ახალგაზრდას ხელი შეუშალა მიზნების მიღწევაში.

ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ კოდექსის მიხედვით, საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი მიიჩნევა საქართველოს მოქალაქედ და აქვს იდენტური უფლებები, თუმცა სიტყვა "ეთნიკური" მას არარელევანტურ სტერეოტიპულ მიდგომად მიაჩნია, მისივე თქმით მიუღებელია ამგვარი დეტერმინაცია "მედია ხშირად ახსენებს ტერმინს, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ხალხის თემი, როცა უნდა ახსენონ საქართველოს კონკრეტული კუთხე, რა მნიშვნელობა აქვს ვინ ცხოვრობს აზერბაიჯანელი თუ ქართველი? ყველანი ხომ საქართველოს მოქალაქეები ვართ?" (24 წლის, ბიჭი).

ახალგაზრდების თქმით სტერეოტიპები თემის შიგნითაც არსებობს, მეტიც მათ მიმართ გხვდება გენდერული და ეთნიკური სტერეოტიპების კომბინაცია."ჩვენთან ხალხის უმეტესი ნაწილი სტერეოტიპებით ცხოვრობს, აქტიური მხარე გენდერებს შორისაა, შენ გოგო ხარ სწავლა რად გინდა, მაინც ქმართან ერთად უნდა იცხოვრო" (19 წლის, გოგო). თემში გოგონებს შეზღუდული აქვთ გართობა, "მე არ მაქვს უფლება 6-7 საათის მერე გარეთ გავიდე, ჩემს სოფელში ბევრი კაფე და რესტორანია, მაგრამ იქ არ დავდივარ" (19 წლის, გოგო). რაც შეეხება მამაკაცებს, თემში ისინი უფრო პრიორიტეტულები არიან და მეტი ძალაუფლება აქვთ ვიდრე გოგონებს "ბიჭები ჩვენს თემში თავს დომინანტებად გრძნობენ, გოგოს მამა, შეყვარებული და ა.შ. მათზე ძლიერები არიან, ამ გავლენის გამო ბევრი გოგო ვერ სწავლობს თბილისში და ადრე თხოვდება" (22 წლის, გოგო). ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ აღზრდიდან გამომდინარე, ბიჭებიც განიცდიან მასკულინური კულტურის ზეგავლენას, მუდმივად ცდილობენ თავის დამკვიდრებასა და საკუთარი სიძლიერის ჩვენებას "სულ ბრძოლაში ვართ, ჯერ უნდა აჩვენო შენი ძალა და-ძმას, მერე დედას რომ შენი სიტყვა კანონია, მერე მეგობრებში" (20 წლის, ბიჭი).

ახალგაზრდები პრობლემის მთავარ მიზეზად რელიგიურ ნორმებს, მენტალიტეტსა და განათლების არასაკმარის დონეს მიიჩნევენ, თავად ცდილობენ ,ცნობიერების ამაღლების კუთხით გავლენა მოახდინონ ახალგაზრდებზე და 5 სხვადასხვა მიმართულებით ატარებენ ტრენინგებს. რესპონდენტი იხსენებს, რომ ალგეთისა და სადახლოს ახალგაზრდულ ცენტრებში 120 ახალგაზრდა გადამზადდა

ISSN 1512-1801

ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: გენდერული თანასწორობა, კრიტიკული აზროვნება და ციფრული უნარების განვითარება, დემოკრატიზაცია და გარემოს დაცვა “ პროგრამა 6 თვე გრძელდებოდა, ახალგაზრდებმა ისწავლეს უფლებები და არაფორმალური აქტივობებით ნელ-ნელა შედეგებს ვხედავთ, ვვითარდებით და ვამაყობთ ამით” (24 წლის, ბიჭი).

რესპონდენტები საუბრობენ პირად გამოცდილებაზეც ახალგაზრდული ცენტრის საქმიანობის ფარგლებში. მაგ. მიიჩნევა, რომ მდედრობითი და მამრობით სქესის წარმომადგენლები არ უნდა მეგობრობდნენ და ახლო ურთიერთობა არ უნდა ჰქონდეთ, ასევე მათი ახალგაზრდული ცენტრის საქმიანობას გარშემომყოფები და განსაკუთრებით ხანდაზმულები არასერიოზულად მიიჩნევდნენ.

რესპონდენტები მიუთითებენ სტერეოტიპების გავლენაზე განათლების კუთხით და ძირითად ყურადღებას ინსტიტუციურ ბარიერებზე ამახვილებენ, კერძოდ ქართული ენის ცოდნის კუთხით“სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო, რომ აზერბაიჯანელმა ქართლი ენა არ იცის, ახალგაზრდას ამ ბარიერის გამო ექმნება კომპლექსი და ვერ აგრძელებს სწავლას უნივერსიტეტში” (20 წლის, გოგო). ყურადსაღებია დისპოზიციური ბარიერების როლიც. რესპონდენტების თქმით, საქართველოში მიიჩნევა რომ ნაადრევი ქორწინება მხოლოდ მათ თემში ხდება, რაც არ შეესაბამება რეალობას, ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ ნაადრევი ქორწინების ტენდენცია მართალია შემცირებულია, მაგრამ ეს სტერეოტიპი, განსაკუთრებით სოფლებში, მაინც შემორჩენილია “ჯერ კიდევ არსებობს სტერეოტიპი, რომ გოგო ადრე უნდა გათხოვდეს, ოჯახს მიხედოს.... გოგოს ხშირად ეკითხებიან, როდის თხოვდები? 22 წლის ზემოთ უკვე გოგო დარჩენილად ითვლება” (22 წლის, ბიჭი). ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, თვითონ თემის შიგნით არსებული სტერეოტიპის გამო გოგონები სწავლას აღარ აგრძელებენ დედაქალაქში ან თუ აგრძელებენ დისკრიმინაციის მსხვერპლები ხდებიან “თბილისში სასწავლებლად წასული გოგო ზედმეტად “თავისუფლად” ითვლება და მას ცოლობის შესაფერისად აღარ თვლიან” (21 წლის, გოგო). თუმცა რეტროსპექტივის საფუძველზე ისინი თვლიან, რომ ამგვარი სტერეოტიპების გავლენა ბოლო პერიოდში მცირდება, რასაც მოწმობს თბილისში მათ მიერ განათლების მქონე ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა “ადრე, დაახლოებით 10 წლის წინ, თბილისში ჩვენი სოფლიდან მხოლოდ 2 ადამიანი სწავლობდა და თან მარტო ბიჭები, ახლა 1000-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს” (24 წლის, ბიჭი).

სტერეოტიპები გავლენას ახდენენ ახალგაზრდების კარიერულ წინსვლაზეც და ამ მხრივ კვლავ დისპოზიციურ ბარიერებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. რესპონდენტები მიუთითებენ პროფესიების გენდერისადმი მიკუთვნებულობის მნიშვნელობაზე, კერძოდ, გოგოს პროფესიაა ექთნობა ან მასწავლებლობა, ის არ უნდა დაეუფლოს ბიჭის პროფესიას, მაგ. არ უნდა იყოს პოლიციელი და უნდა ეძიოს ისეთი სამუშაო, რომელიც საღამოს გარეთ გასვლას ან მოგზაურობას მოითხოვს. ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ გამოცხადებულ ვაკანსიებზე გასაუბრების დროს გამოცდილებისა და კომპეტენციის მიუხედავად, უპირატესობას ანიჭებენ ქართველ ახალგაზრდებს და ამას გამსაუბრებლები თავიანთი დამოკიდებულებით აგრძნობინებენ.

რესპონდენტების აზრით, სტერეოტიპების დაძლევის მთავარ მექანიზმს განათლება და ახალგაზრდების ინფორმირებულობა წარმოადგენს, რასაც, როგორც უკვე აღინიშნა, არაფორმალური აქტივობების საფუძველზე ახალგაზრდულ ცენტრებში თავად ახორციელებენ; შესაძლებელია სკოლებში შემსწავლელი ფილმების დღეები დაწესდეს და როლებით დასწავლა მოხდეს. ყურადსაღებია ქართული ენის

ISSN 1512-1801

სწავლის საკითხიც “პირველ რიგში უმაღლეს დონეზე უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა, სასწავლო მასალის შეთავსება ისე უნდა მოხდეს, რომ ქართულ ენაზე მეტად ჩატარდეს გაკვეთილები და ცალკე გამოიყოს აზერბაიჯანული ლიტერატურის გაკვეთილები”
(22 წლის, ბიჭი).

4.2. ექსპერტული ინტერვიუ

ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ განათლების მნიშვნელობაზე, ხოლო მასზე ხელმისაწვდომობას თანამედროვე მსოფლიოს აქტუალურ საკითხად მიიჩნევენ, რაშიც იგულისხმება პირველ რიგში საშუალო, ხოლო შემდგომ პროფესიული და უმაღლესი განათლება. ამ შემთხვევაში საბაზო განათლებას უმნიშვნელოვანეს საფუძვლად მიიჩნევენ, რადგანაც ამ საფეხურზე ყალიბდება ისეთი უნარები, როგორებიცაა: პრეზენტაბელობა, ემოციური ინტელექტის ქონა, კომუნიკაბელობა, პრაქტიკული ადაპტაცია, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მათ წარმატების მიღწევაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო განათლების შემდგომი განათლების მიღება პრიორიტეტულია ევროკავშირის ქვეყნებში ადამიანური კაპიტალის განვითარების გამო.

მიღწეული განათლების დონე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ადამიანის კეთილდღეობაზე, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზეც. განათლებაზე დახარჯული წლების რაოდენობა დადებითად უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, შესაბამისად იმ ქვეყნებში, სადაც განათლების ყველა საფეხურზე ახალგაზრდებს ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი აქვთ, ეკონომიკის განვითარებითაც ხასიათდებიან. განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობა ახალგაზრდებს ხშირად უბიძგებს მიატოვონ სწავლა და სამუშაოს ძიება ადრეული ასაკიდან დაიწყონ, ამიტომ მათი წვლილი ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ განვითარებაში საკმაოდ მცირეა.

განათლების ადრეულ ასაკში შეწყვეტა ამცირებს დასაქმების შესაძლებლობას მაღალ ანაზღაურებად პოზიციებზე და ამცირებს ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე (Lamb, Long and Malley, 1998). შესაბამისად, ახალგაზრდების კარიერულ განვითარებას, ხოლო განათლებული მუშახელი ადვილად ერგება სამუშაოს მოთხოვნებს, ითვისებს ინოვაციურ ტექნოლოგიებს რაც მათ დასაქმებასა და კარიერულ წინსვლას უწყობს ხელს. საშუალოზე დაბალი განათლების მქონე პირებში დასაქმებიდან შემოსავლები საშუალოდ 23%-ით ნაკლებია საშუალო განათლების მქონე პირებთან შედარებით, არასრული განათლების მქონე პირებს სიღარიბეში ცხოვრების უფრო მეტი რისკი აქვთ, ვიდრე სრული საშუალო განათლების მქონეებს (Bridgeland, Dilulio Jr., & Burke Morison, 2006).

რაც შეეხება ეთნიკურ აზერბაიჯანელ ახალგაზრდებზე სტერეოტიპების გავლენას, მათი მოსაზრებით, ამგვარი სტერეოტიპების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ენობრივი ბარიერი და რელიგიური დეტერმინაცია, რის გამოც ვერ აღიქმებიან საზოგადოების “სრულფასოვან” წევრად. შესაბამისად, მოზარდობისას იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში ხდება უარყოფითი შეფასებების ინტერნალიზაცია ანუ გაშინაგნება, რაც აისახება თვითშეფასებაზეც. ახალგაზრდებს უვითარდებათ რწმენა, რომ ისინი არ აკმაყოფილებენ საზოგადოების “მოთხოვნებს” და უმრავლესობისგან განსხვავებით წარმატებას ვერ მიაღწევენ. ამასთან დაკავშირებით ექსპერტებს მოჰყავთ სიტუაციური მაგალითი თავიანთი გამოცდილებიდან. მათი თქმით, ეთნიკური უმცირესობის

ISSN 1512-1801

წარმომადგენელი სტუდენტები ენობრივი ბარიერის გამო ინტერაქციას თავს არიდებენ, აღენიშნებათ დაბალი თვითშეფასება და სწავლის მოტივაციის ნაკლებობა, მათ არც მაღალი აკადემიური მოსწრების მხრივ აქვთ ამბიცია.

როგორც უკვე აღინიშნა, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდები სტერეოტიპებს ძირითადად ენობრივი კუთხით აწყდებიან, რომლის მიხედვითაც კოლექტიური უარყოფითი დამოკიდებულების განზოგადება ხდება, შესაბამისად მიიჩნევა, რომ ისინი საკმარისად ვერ ფლობენ ქართულ ენას. ახალგაზრდა ხშირად ამ დამოკიდებულების "მსხვერპლი" ხდება და ეზღუდება საკუთარი შესაძლებლობების რელიზების არეალი. საზოგადოებაში წინასწარ განსაზღვრული დამოკიდებულებაა მათი დარგობრივი სპეციალიზაციის მიმართაც, კერძოდ მათ ერთგვარ "ნიშად" ძირითადად სოფლის მეურნეობაში ჩართულობა მიიჩნევა.

ექსპერტები ამჩნევენ სტერეოტიპების განსხვავებას სქესთა შორის, კერძოდ ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალები ეთნიკურის გარდა, დამატებით გენდერული ნიშნით აწყდებიან. თემის თავისებურებებიდან გამომდინარე ქალის დიასახლისობა და დაქორწინება უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე განათლების მიღება და კეთილდღეობის მიღწევა. რაც შეეხება მამაკაცებს, იმის გათვალისწინებით, რომ იგი ოჯახში შემოსავლის მთავარ წყაროდ მოიაზრება, მას მეტად აქვს განათლების მიღებისა და კარიერული წინსვლის საჭიროება, ნაცვლად ქალისა, რომელიც შემდგომში მასზე მატერიალურად დამოკიდებული უნდა იყოს. ექსპერტები დასძენენ, რომ სწორედ ამგვარი წინასწარი მოლოდინები განაპირობებს თემში სუბორდინაციასა და ქალების დაბალი სტატუსს.

ექსპერტების მოსაზრებით ამ მხრივ არსებობს ბარიერები განათლების მოთხოვნილებისა და კარიერული განვითარების თვალსაზრისით; კვლევამ აჩვენა, რომ უმცირესობების განათლების ბარიერები უპირველეს ყოვლისა ინსტიტუციონალურია, კერძოდ ენის ცოდნის ნაკლებობა. ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ სხვა კვლევები მიუთითებს იმაზე, რომ ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართული ენის ფლობა აღიქმება როგორც განათლების ბარიერი (სუმბაძე, 2015). რაც შეეხება განათლებაზე ხელმისაწვდომობას, ეროვნული გამოცდები ორიენტირებულია მათ მოთხოვნილებებზე და ტესტირება სახელმწიფო ენის გარდა ტარდება აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე, რაც ზრდის განათლებაზე ხელმისაწვდომობას.

თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია, განსაკუთრებით იზოლირებული რეგიონების შემთხვევაში. შესაბამისად სწავლის საფასურის გარდა, ისინი პრობლემებს ტრანსპორტირების კუთხითაც აწყდებიან, მართალია COVID-19-ის პანდემიის პირობებში დისტანციურმა სწავლებამ ამ კუთხით მოახდინა გავლენა, მაგრამ ბევრ ახალგაზრდას დღემდე არ აქვს შესაბამისი ხელმისაწვდომობა კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტზე.

სტერეოტიპების დაძლევის მექანიზმს კამპანიები წარმოადგენს, თუმცა ძირითადად ყურადღება მახვილდება უმცირესობების შემთხვევაში ნაადრევ ქორწინებასა და ქალთა ძალადობაზე; შესაბამისად, უმჯობესი იქნება თუ ხელი შეეწყობა სტერეოტიპების აღმოფხვრასა და უმრავლესობასთან მათ ინტერაქციას. ინტერაქციის შემთხვევაში მნიშვნელოვანია პირველადი სოციალიზაციის ეტაპზე სკოლებში არაფორმალური აქტივობები დაინერგოს, მაგ. დღესასწაულების აღნიშვნა და კულტურის გაზიარება მოხდეს ეთნიკურად აზერბაიჯანელ ახალგაზრდებსა და უმრავლესობას შორის, ერთობლივი სემინარებისა და ბანაკების დაგეგმვა. ხოლო ქალთა

ISSN 1512-1801

გაძლიერების კუთხით ჩამოყალიბდეს კლუბები, სადაც უმრავლესობის წარმომადგენელი ქალები ჩავლენ და საუბრები მოეწყობა საზოგადოებრივ ცენტრებში, მეორე მხრივ ინტერვენციები საჭიროა უმრავლესობისთვისაც, რათა გაიზარდოს მიმღებლობა ამ თემის მიმართ.

5. დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ განათლება ახალგაზრდებისთვის თვითრეალიზაციის, კარიერული წინსვლის, კეთილდღეობისა და პროგრესის მთავარი წყაროა. არც ერთ მათგანს არ შეუწყვიტავს განათლება, თუმცა ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ მხრივ როგორც საბაზო, ასევე უმაღლესი განათლების საფეხურზე აწყდებიან ინსტიტუციურ ბარიერებს სასწავლო მასალების შეუსაბამობის, ქართული ენის მასწავლებლების კადრების ნაკლებობისა და ენის არასაკმარისად ფლობის კუთხით. ამ ბარიერების დასაძლევად მათ მკვეთრად განსაზღვრული სამომავლო მიზნები აქვთ, კერძოდ ენის შესწავლა და თემის განვითარების ხელშეწყობა. ამ უკანასკნელის განსახორციელებლად ისინი არაფორმალურ აქტივობებსაც ახორციელებენ, რითაც ხელს შეუწყობენ ცნობიერების ამაღლებას. კარიერული წინსვლის შემთხვევაში კი ისინი ძირითადად სიტუაციურ ბარიერებს აწყდებიან. პრობლემას წარმოადგენს პროფესიულ არჩევანზე გარშემომყოფების ზემოქმედება, რაც ახალგაზრდების კეთილდღეობაზე უარყოფითად აისახება. რესპონდენტებს არ გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული კარიერული წინსვლის მიზნები, რადგანაც პირველ რიგში ცდილობენ შეიძინონ კომპეტენცია და განივითარონ უნარები.

სტერეოტიპი, როგორც სოციალური კონსტრუქტი, უკავშირდება წინასწარ წარმოდგენების ფორმირებას და შემდგომში მათ გენერალიზაციას; ამ მხრივ განსაკუთრებულ როლს ასრულებს გარე ჯგუფური ჰომოგენურობის ეფექტი, ხოლო კატეგორიზების საშუალებით ხდება ჯგუფების სეგრეგაცია არა მარტო სასწავლო სივრცეში, არამედ საზოგადოებისა და მედიის მხრიდანაც. მათზე ვრცელდება ილუზორული კორელაცია, შესაბამისად მიიჩნევა, რომ ეთიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდები ვერ ფლობენ ქართულ ენას და ნაადრევი ქორწინებაც მხოლოდ მათთვისაა დამახასიათებელი. სტერეოტიპებს კომბინირებული ხასიათი აქვს თემის შიგნით, სადაც მდედრობით სქესის წარმომადგენლებს ეზღუდებათ თავისუფლება განათლების მიღების, დასაქმებისა და გართობის თვალსაზრისით, ხოლო მამრობითი სქესის წარმომადგენლებს მეტი ძალაუფლება აქვთ და ხშირად მათი სიძლიერის დემონსტრაციასაც ახდენენ.

სტერეოტიპები მჭიდროდ კავშირშია განათლების მიღების პროცესთან და ამ მხრივ მთავარ როლი კვლავ ინსტიტუციურ ბარიერს აქვს (ქართული ენის არასაკმარისად ფლობა), თუმცა არა ნაკლებ მნიშვნელოვანია დისპოზიციური ბარიერებიც, კერძოდ ეთნიკურად აზერბაიჯანელთა თემი არასაკმარისად განვითარებულად და ნაადრევ ქორწინებაზე ორიენტირებულად მიიჩნევა. კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებითაც მთავარი პრობლემა დისპოზიციური ბარიერი წარმოადგენს. არსებობს გენდერული როლები და პროფესიების სეგრეგაცია -დაყოფა ამ ნიშნით, რაც ახალგაზრდების თვითრეალიზაციაზე უარყოფითად აისახება, ხოლო პოტენციური დამსაქმებლების მხრიდან მათი დიდი ნაწილი ამჩნევს დადებით მიკერძოებას ქართველი ახალგაზრდების მიმართ.

ISSN 1512-1801

კვლევის შედეგების თანახმად ახალგაზრდებს სტერეოტიპების დაძლევის მთავარ მექანიზმად განათლება და ახალგაზრდების ინფორმირებულობა მიაჩნიათ და ამ პროცესს ახალგაზრდული ცენტრების საქმიანობით თავადვე უწყობენ ხელს.

ექსპერტებიც განათლებაზე ხელმისაწვდომობა აქტუალურ საკითხად მიიჩნევენ; ამ პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთის მხრივ საბაზო განათლების მნიშვნელობაზე, რადგანაც ამ ეტაპზე ყალიბდება ყველა ის უნარები, რომლებიც ხელს უწყობს შემდგომში ინდივიდის კეთილდღეობას, მეორეს მხრივ განათლების შემდგომ ეტაპებზე. ამასთან არსებობს კორელაცია განათლებასა და კარიერულ წინსვლას შორის. ისინი კარიერული წინსვლის ქვეშ მოიაზრებენ სათანადო განათლების მიღებას, უნარების შეძენასა და შემდგომ მათ რეალიზაციას საზოგადოებაში.

ექსპერტების აზრით, სტერეოტიპების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს შიდა ჯგუფური იდენტიფიკაცია და ინტერნალიზაცია, რაც განსაკუთრებით ვლინდება მოზარდობის ასაკში იდენტობის ჩამოყალიბებისას და აისახება თვითშეფასებაზეც. შედეგად, ახალგაზრდებს უყალიბდებათ იმის რწმენა, რომ ისინი ვერ მიაღწევენ წარმატებას. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ამ მხრივ სქესთაშორისი განსხვავებები არსებობს, რაც განსაკუთრებით მდედრობით სქესის წარმომადგენლებზე აისახება. ისინი "შუშის ჭერის" ეფექტს აწყდებიან, რაც ხელს უშლის მათ კარიერულ წინსვლას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექსპერტები განათლებისა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული ბარიერების კუთხით მთავარ პრობლემად ინსტიტუციურ ბარიერებსა და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას მიიჩნევენ, თუმცა აქვე იმასაც დასძენენ, რომ ეროვნული გამოცდები უფრო და უფრო ორიენტირებული ხდება ეთნიკურ უმცირესობებზე და ტესტირებაც მათ მშობლიურ ენებზე ტარდება.

ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ სტერეოტიპების დაძლევის ინტერვენციებზეც, კერძოდ მიესალმებიან დეკატეგორიზაციის პროცესს და ამ პროცესში ინტერპერსონალურ ინტერაქციას უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებს შორის, მაგრამ ეს პროცესი წამატებულად ვერ განხორციელდება თუ არ მოხდება უნიკალური მახასიათებლების გაცვლა. ამ შედეგის მისაღწევად არაფორმალური აქტივობების სახით უნდა ჩატარდეს ისეთი კამპანიები, როგორებიცაა დღესასწაულების აღნიშვნა და მოხდეს კულტურის გაზიარება ეთნიკურად აზერბაიჯანელ ახალგაზრდებსა და უმრავლესობას შორის, ერთობლივი სემინარებისა და ბანაკების დაგეგმვა და ა.შ. ამრიგად, გადაფასდება არა მარტო კატეგორიაზე დაფუძნებული სტერეოტიპული მსჯელობები, არამედ ხელი შეეწყობა დადებითი ატიტუდების ჩამოყალიბებას, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინტერვენციები უნდა იყოს ორმხრივი, რათა გაიზარდოს მიმღებლობა ეთნიკური უმცირესობების მიმართ.

დაფინანსება

კვლევა ჩატარდა პროექტის ფარგლებში "Geoyouth2021", რომელსაც ახორციელებს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP), გერმანიის ორგანიზაცია Polis180-თან პარტნიორობით, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

მადლობა კვლევის პროცესში ჩართულ სტუდენტებს:

გიულგიუნ მამედხანოვას, თსუ თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საზოგადოებრივი გეოგრაფიის ბაკალავრი.

სალახადინ პირიევს, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრი.

ISSN 1512-1801

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Balatti, J, & Falk, I. (2002). 'Socioeconomic contributions of adult learning to community: A social capital perspective', Adult Education Quarterly, 52, 281–98.
2. Becker, E., (1971). The birth and death of meaning (2nd ed.). New York, NY: The Free Press.
3. Bridgeland, J.M., Dilulio, J.J., & Morison K.B. (2006). The Silent Epidemic: Perspectives of High School Dropouts. Retrieved from http://www.civicenterprises.net/pdfs/ thesilentepidemic3-06.pdf.
4. Cross K. P. (1992). Adults as learners: Increasing participation and facilitating learning. San Francisco: Jossey –Bass.
5. Deer, C. (2005). Higher education access and expansion: The French Experience. Higher Education Quarterly, 59 (3), 230–241.
6. Fiske, S. T. (1998). Stereotyping, prejudice, and discrimination. *The handbook of social psychology* (pp. 357–411). McGraw-Hill.
7. Gaertner, S. L., & Dovidio, J. F. (2000). Reducing intergroup bias: The common ingroup identity model. Psychology Press.
8. Goodwin, S. A., Gubin, A., Fiske, S. T., & Yzerbyt, V. Y. (2000). Power can bias impression processes: Stereotyping subordinates by default and by design. *Group Processes & Intergroup Relations, 3*(3), 227–256.
9. Hamilton, David L.; Rose, Terrence L. (1980). "Illusory correlation and the maintenance of stereotypic beliefs". *Journal of Personality and Social Psychology*. **39** (5): 832–845. doi:10.1037/0022-3514.39.5.832
10. Hanushek, E. (2013). Economic growth in developing countries: The role of human capital, Economics of Education Review 37, 204–212
11. Johns, Merida L. (2013). "Breaking the Glass Ceiling: Structural, Cultural, and Organizational Barriers Preventing Women from Achieving Senior and Executive Positions". Perspectives in Health Information Management.
12. Kitiashvili, A., Sumbadze, N., & Makharadze, T. (2015). Access to VET for vulnerable groups, Ministry of Education and Science of Georgia.
13. Kruger, R. L. M. (1997). The influence of gender stereotypes and roles on managerial performance of women education leaders (Unpublished thesis). University of the Free State, Bloemfontein, South Africa.
14. Lamb, S., Long, M. & Malley, J. (1998) 'Vocational education and training in Australia: an analysis of participation and outcomes using longitudinal survey data', Report for ACER.
15. Lickel, B., Hamilton, D. L., Sherman, S. J., & Rutchick, A. (2001).The association of relational styles and group properties in theperception of group entitativity
16. Luciak, M. (2004). *Migrants, minorities and education*. Documenting discrimination and international in 15 Member State of the European Union- on behalf of the European Monitoring Centre on Racism and Xenophobia (EUMC). Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities.
17. Malhotra, A., R. Pande, and C. Grown (2003). 'Impact of Investments in Female Education on Gender Equality'. International Center for Research on Women: Washington, DC.

ISSN 1512-1801

18. Miller, N., Brewer, M. B., & Edwards, K. (1985). Cooperative interaction in desegregated settings: A laboratory analogue. Journal of Social Issues, 41, 63-80.
19. Park, Bernadette; Rothbart, Myron (1982). "Perception of out-group homogeneity and level of social categorization". *Journal of Personality and Social Psychology*. **42** (6): 1051–1068. doi:10.1037/0022-3514.42.6.1051.
20. Pettigrew, TF., (1998). Inter-group contact and prejudice: a meta-analytic test of Allportís hypothesis. Dep.Psychol., Univ. Calif., Santa Cruz.
21. Schuller, T, Bynner, J, Green, A, Blackwell, L, Hammond, C, Preston, J., & Gough, M. (2001) Modelling and Measuring the Wider Benefits of Learning, Centre for Research on the Wider Benefits of Learning, London: Institute of Education/Birkbeck
22. Stangor, C. (1995). Content and application inaccuracy in social stereotyping. *Stereotype accuracy: Toward appreciating group differences* (pp. 275–292). American Psychological Association.
23. Tajfel, H., & Turner, J. C. (1979). An integrative theory of intergroup conflict. In W. G. Austin, & S. Worchel (Eds.), The social psychology of intergroup relations (pp. 33-37). Monterey, CA: Brooks/Cole.
24. Ridge, T. (2009). Living with poverty: A review of the literature on children's and families' experiences of poverty. A report of research carried out by the Centre for the Analysis of Social Policy, University of Bath on behalf of the Department for Work and Pensions.

Article received 2021-12-04